



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია
აკადემიური და წარმომადგენლობითი
სენატის 2018 წლის
23 აპრილის №81 დადგენილებით

სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

1. სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს საუნივერსიტეტო ბაზაზე დაფუძნებულ ცენტრს, რომელიც მოწოდებულია პროფესიული დისკუსიის და განათლების გააქტიურების მეშვეობით ხელი შეუწყოს ქვეყნის სამართლისა და ეკონომიკის განვითარებას, გამოიკვლიოს სამართლის ნორმების ზემოქმედება ეკონომიკაზე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების ჩართვით, გააცნოს მისი შედეგები საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

2. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, განათლების სფეროში მოქმედი სხვა აქტების საფუძველზე კომპეტენტურობის, გამჭვირვალობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების განუხრელად დაცვით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე.

I.I. ცენტრის მისია, მიზანი და ამოცანები

1. ცენტრის მისიაა, შექმნას სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ინტერდისციპლინარული დისკუსიისა და იდეების გენერირების გარემო, რომელშიც აქტიურად ჩაერთვებიან როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ისე პრაქტიკოსები და სტუდენტები.

2. ცენტრი მიზნად ისახავს სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე საკანონმდებლო, სამეცნიერო და პრაქტიკული პროცესების სტიმულირებასა და მონიტორინგს, პრობლემებსა და გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას, ლობირებას, საზოგადოების ინფორმირებასა და კვლევის შედეგების ადრესატებისათვის გაცნობას.

3. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

ა) საკანონმდებლო რეგულაციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევა და მისი ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) ცენტრის საქმიანობაში საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც ახალი იდეების ერთობლივად შემუშავების, ისე ცენტრის საქმიანობის შედეგების დაინტერესებული პირებისათვის გაზიარების მიზნით;

გ) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

4. ცენტრის ამოცანების რეალიზაციას ემსახურება მისი ფუნქციები:

ა) ინტერდისციპლინარული გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო კვლევების განხორციელება;

ბ) საკანონმდებლო ინიციატივების საზოგადოებაზე პოტენციური გავლენის ანალიზის სისტემატურად განხორციელება;

გ) საკანონმდებლო ინიციატივების ამოცანების მიღწევის შესაძლებლობების შეფასება;

დ) საკანონმდებლო ინიციატივების ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასება;

ე) სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მიმდინარე აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე დისკუსიაში პრაქტიკოსების, სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისა და სტუდენტების ჩართვის მიზნით სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების, მრგვალი მაგიდის, საჯარო ლექციების, ვიდეო ლექციების და სხვ. ორგანიზება და ჩატარება;

ვ) სამართლისა და ეკონომიკის სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ზ) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის სფეროში, უცხოელი ექსპერტების მოზიდვა მათი გამოცდილების გაზიარების და პერსპექტივების გაცნობის მიზნით.

I.I.I. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორატი და მმართველი კომიტეტი.

1.1. დირექტორატში შედიან:

- აღმასრულებელი დირექტორი;
- აკადემიური დირექტორი.

1.2. ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს და აკადემიურ დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან-საზოგადოების დირექტორთან შეთანხმებით 2 წლის ვადით.

1.3. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციები:

- ცენტრის სტრატეგიის განსაზღვრა აკადემიური დირექტორთან ერთად და მისი დანერგვის ზედამხედველობა;
- წარმომადგენლობითი ფუნქცია;
- ცენტრის ადამიანური რესურსების მართვა;
- სხვა ფუნქციების შესრულება ცენტრის მიზნების და ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად;
- აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე.

1.4. ცენტრის აკადემიური დირექტორის ფუნქციები:

- ცენტრის სტრატეგიის განსაზღვრა აკადემიური დირექტორთან ერთად;
- სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების, მრგვალი მაგიდის, საჯარო ლექციების, ვიდეო ლექციების დაგეგმვის და ჩატარების ზედამხედველობა;
- სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების ზედამხედველობა;
- სხვა ფუნქციების შესრულება ცენტრის მიზნების და ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად;
- აკადემიური დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე.

1.5. მმართველი კომიტეტი აერთიანებს სამართლისა და ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების/მათი სტრუქტურული ერთეულების, პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლებს როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან.

1.6. მმართველ კომიტეტს აკომპლექტებს დირექტორატი.

1.7. მმართველი კომიტეტის წევრთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

1.8. მმართველი კომიტეტის წევრები ინიშნებიან 1 წლის ვადით. შესაძლებელია ერთი და იგივე წევრის სამჯერ ზედიზედ არჩევა.

- 1.9. მმართველი კომიტეტი იკრიბება კვარტალურად. შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე სხდომა დირექტორატის ან მმართველი კომიტეტის წვრ(ებ)ის ინიციატივით.
- 1.10. მმართველი კომიტეტის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
- 1.11. მმართველი კომიტეტის ფუნქციას ცენტრის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია.
2. ცენტრის თანამშრომელია კოორდინატორი.
- 2.1. ცენტრის კოორდინატორი:
- ა) უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ცენტრის მუშაობის ძირითადი საკითხების შესახებ;
 - ბ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე და სადისკუსიო ღონისძიებებზე მსურველთა რეგისტრაციას;
 - გ) მონაწილეობს სადისკუსიო ღონისძიებების დაგეგმვასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში;
 - დ) ახორციელებს ცენტრის საქმიანობის ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას;
 - ე) ქმნის სამართლისა და ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე უცხოელ ექსპერტთა ერთიან ბაზას;
 - ვ) ახორციელებს სხვა საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

IV. დასკვნითი დებულებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.